5/01/05

შეთანხმება
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიების სანიტარიული დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

წინამდებარე შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები, შემდგომში მხარეებად წოდებული,

აღიარებენ რა შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოთა მოსახლეობისათვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი საკარანტინო და სხვა დაავადებების შეტანისა და გავრცელების თავიდან აცილების საქმეში თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას,

ხელმძღვანელობენ რა სურვილით განაგრძონ და გააფართოონ თანამშრომლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და უზრუნველყონ მხარე სახელმწიფოების ტერიტორიის სანიტარიული დაცვის მიზნით სახელმწიფო ეპიდემიასაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებების კოორდინაცია,

ხელმძღვანელობენ რა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფარგლებში კონტრაქტების განხორციელებისას და სამეურნეო და სავაჭრო კავშირურთიერთობის განვითარებისას მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის პოტენციური საფრთხის შემცველი საქონლისა და ტვირთის შეტანისა და რეალიზაციისაგან მხარე სახელმწიფოთა ტერიტორიების ურთიერთდაცვის ინტერესებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეებმა უნდა განახორციელონ მხარე სახელმწიფოთა საზღვრებზე გამტარ პუნქტებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის საჭირო ღონისძიებანი საკარანტინო და სხვა ინფექციური დაავადებების ნუსხის და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და ტვირთის ნუსხის (დანართი 1 და 2) შესაბამისად. მოცემული ნუსხები შეიძლება შეიცვალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის საბჭოს გადაწყვეტილებით. საქონლის ან ტვირთის სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის ხარჯები განისაზღვრება მიღებული ეროვნული ტარიფების თანახმად.

მუხლი 2

მხარეები ვალდებულებას კისრულობენ დაიცვან ურთიერთშეთანხმებული სანიტარიული წესები და მოსახლეობისათვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი საკარანტინო და სხვა ინფექციური დაავადებების შეტანისა და გავრცელებისგან ტერიტორიების, საქონლისა და ტვირთის სანიტარიული დაცვის ნორმები მხარე სახელმწიფოთა საზღვრებზე გამტარ პუნქტებში იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის დროს. აღნიშნულ სანიტარიულ წესებსა და ნორმებს სახელმწიფოთაშორის წესებად და ნორმებად აღიარებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თანამშრომლობის საბჭო.

მუხლი 3

ტერიტორიების სანიტარიული დაცვის სფეროში რეგულარული თანამშრომლობის განვითარების მიზნით მხარეები ვალდებულებას კისრულობენ:

მიიღონ საჭირო ზომები, რათა თავიდან აიცილონ ერთი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიიდან მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის

განსაკუთრებული საფრთხის შემცველი საკარანტინო და სხვა ინფექციური დაავადებების შეტანა და გავრცელება;

განახორციელონ საჭირო ზომები, რათა თავიდან აიცილონ მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის პოტენციურად საშიში საქონლისა და ტვირთის შეტანა და რეალიზაცია იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის დროს;

გაცვალონ ნორმატიულ-სამართლებრივი და სხვა დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს ტერიტორიების სანიტარიული დაცვის ღონისძიებებს;

გაცვალონ ინფორმაცია მხარე სახელმწიფოების ტერიტორიებზე მოსახლეობისათვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი საკარანტინო და სხვა ინფექციური დაავადებების გამოვლენისა და გავრცელების შესახებ;

გაცვალონ ინფორმაცია ტერიტორიების სანიტარიული დაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ;

გაცვალონ სპეციალისტები იმ მიზნით, რომ:

– განახორციელონ წარმოებისა და დამზადების ადგილებში საქონლის შერჩევითი სანიტარიულ-ჰიგიენური შემოწმება;

– ოპერატიულად გადაწყვიტონ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის საკითხები;

– შეისწავლონ მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები არსებული თანამშრომლობის ფარგლებში ტერიტორიების სანიტარიული დაცვის სფეროში;

ერთმანეთს გაუწიონ მეცნიერული, ტექნიკური და სხვა დახმარება ტერიტორიების სანიტარიული დაცვის ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაში (ეპიდემიის კერების გამოვლენა, ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია) და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელებაში;

ნებისმიერი მხარის თხოვნით მიავლინონ ერთი ან რამდენიმე მხარის ჭირსაწინააღმდეგო ან სხვა ეპიდემიასაწინააღმდეგო დაწესებულებების სპეციალისტები ეპიდემიოლოგიური ხასიათის საგანგებო სიტუაციებში.

მუხლი 4

ტერიტორიების სანიტარიული დაცვის სფეროში მხარეთა მიერ კვლევითი სამუშაოების სამეცნიერო-მეთოდიკურ ხელმძღვანელობას, კოორდინაციას, აგრეთვე შესაბამის სახელმწიფო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურებთან და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად ტერიტორიების სანიტარიული დაცვის საკითხებში ნორმატიული დოკუმენტების, ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების შემუშავებას ახორციელებს რუსეთის ფედერაციის სამეცნიერო-კვლევითი ჭირსაწინააღმდეგო ინსტიტუტი „მიკრობი“.

მუხლი 5

მხარეები ვალდებულებას კისრულობენ იმპორტიორი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიის სანიტარიული დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღონ ყველა ზომა, რათა თავიდან აიცილონ მეორე მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის პოტენციური საფრთხის შემცველი საქონლისა და ტვირთის შეტანა და გავრცელება.

სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ან ტვირთის ყოველ პარტიას, რომელიც ერთი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიიდან მეორე მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეაქვთ, უნდა ერთვოდეს ნებართვის დოკუმენტი, გაცემული ეროვნული სახელმწიფო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მიერ, რომელიც ადასტურებს ჰიგიენურ შეფასებას. დოკუმენტში დასტურდება საქონლის ან ტვირთის შესაბამისობა იმპორტიორი მხარის მიერ წამოყენებულ სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან.

მოცემული დოკუმენტის გაცემის ხარჯებს საქონლის ან ტვირთის მფლობელი გაიღებს მხარეში მიღებული ტარიფების თანახმად.

სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და ტვირთის ყოველ პარტიას, რომელიც ტრანზიტით იგზავნება ერთი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით, უნდა ერთვოდეს ნებართვის დოკუმენტი, რომელიც გამგზავნი მხარის სახელმწიფო სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მიერ არის გაცემული და ჰიგიენურ შეფასებას ადასტურებს.

მხარეთა უფლებამოსილი ორგანოები იტოვებენ უფლებას მათი სახელმწიფოების ტერიტორიაზე სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და ტვირთის შეტანისას დამატებითი პირობები წამოაყენონ ასეთი საქონლისა და ტვირთის პარტიის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მიმართ. აღნიშნულ შემთხვევებში იმპორტიორი მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა აცნობონ ექსპორტიორი მხარის კომპეტენტურ ორგანოებს საქონლისა და ტვირთის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის დამატებითი პირობები, დამატებითი პირობების მოქმედების ვადები და იმ საქონლისა და ტვირთის ნუსხა, რომლებზეც ისინი ვრცელდება.

მუხლი 6

ერთი მხარის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მეორე მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მგზავრების გადაყვანისათვის, საქონლისა და ტვირთის გადაზიდვისათვის, აგრეთვე სატარო შეფუთვა და სხვა სატარო შესაფუთი მასალები საქონლისა და ტვირთის გადაზიდვისათვის უნდა შეესაბამებოდეს მიმღები მხარის სანიტარიულ-ჰიგიენურ და ეპიდემიასაწინააღმდეგო მოთხოვნებს.

მუხლი 7

მხარეთა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს უფლება აქვთ (ექსპორტიორი მხარის წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით) ექსპორტიორი მხარე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დააბრუნოს ან გააუვნებლოს საქონელი ან ტვირთი იმ შემთხვევაში, თუ მასში საკარანტინო ან მოსახლეობისათვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველი დაავადებების გადამტანებს ან გამომწვევებს აღმოაჩენს იმპორტიორი მხარე სახელმწიფოს სასაზღვრო პუნქტში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის დროს, ხოლო საქონლის ან ტვირთის დაბრუნების ან გაუვნებლების შეუძლებლობის შემთხვევაში – გაანადგუროს იგი. ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ იმპორტიორი მხარე ექსპორტიორი მხარის შესაბამის ორგანოებს აცნობებს.

მუხლი 8

წინამდებარე შეთანხმება არ ეხება იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, რომელთა მონაწილენიც ისინი არიან და არ აბრკოლებს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებას.

მუხლი 9

წინამდებარე შეთანხმება მისაერთებლად გახსნილია სხვა სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მზად არიან იკისრონ წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებანი.

მუხლი 10

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან, ხოლო იმ მხარეებისათვის, რომელთა კანონმდებლობა მისი ძალაში შესავლისათვის საჭირო

შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულებას მოითხოვს, – დეპოზიტორისათვის შესაბამისი შეტყობინების ჩაბარების დღიდან.

ასეთი პროცედურების შესრულების აუცილებლობის შესახებ დეპოზიტორს ატყობინებენ წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის დღიდან სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 11

წინამდებარე შეთანხმება მისი ძალაში შესვლის დღიდან 5 წლის განმავლობაში მოქმედებს და ავტომატურად გრძელდება ყოველი მომდევნო 5-წლიანი პერიოდისათვის, თუ მხარეები სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებენ.

ნებისმიერ მხარეს შეუძლია წინამდებარე შეთანხმებიდან გასვლა, რისთვისაც ამის თაობაზე წერილობითი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს დეპოზიტორს გასვლამდე სულ ცოტა 6 თვით ადრე.

მუხლი 12

მხარეთა ურთიერთშეთანხმებით წინამდებარე შეთანხმებაში შეიძლება ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომლებიც ცალკე ოქმებით ფორმდება და ძალაში შედის წინამდებარე შეთანხმების 10 მუხლით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 13

წინამდებარე შეთანხმების გამოყენებასთან ან გაგებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები წყდება დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით ანდა სხვა პროცედურების გამოყენებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

შესრულებულია ქალაქ მინსკში 2001 წლის 31 მაისს ერთ ეგზემპლარად რუსულ ენაზე. ორიგინალი ინახება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც წინამდებარე შეთანხმების ხელმომწერ სახელმწიფოებს მის დამოწმებულ ასლს გაუგზავნის.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით
ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
მოლდოვის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
რუსეთის ფედერაციის მთავრობის სახელით
ტაჯიკეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
თურქმენეთის მთავრობის სახელით
უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
უკრაინის მთავრობის სახელით

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის
მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიების
სანიტარიული დაცვის სფეროში თანამშრომლობის
შესახებ შეთანხმების
დანართი 1

სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საკარანტინო და სხვა ინფექციურ დაავადებათა ნუსხა

დაავადებათა სახელწოდება	შიფრი დაავადებათა მსოფლიო კვალიფიკაციის მიხედვით (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 9 გადასინჯვა)
საკარანტინო დაავადებანი	
შავი ჭირი ყვითელი ციებ-ცხელება ქოლერა, მათ შორის 0139	
სხვა ინფექციური დაავადებანი	
ციმბირის წყლული ბრუცელოზი ტუბერკულოზი ქოთაო მელიონდოზი ეპიდემიური პარტახტიანი ტიფი მაიმუნის ყვავილი რიფტის ველის ციებ-ცხელება	
ვირუსული ჰემორაგიული ციებ-ცხელებანი	
მარბურგი ებოლა ლასა ხუნინი მაჩუპო მენინგოკოკური ინფექცია (ჰაჯში შესვლისას) სპონგიოფორმული ენცეფალოპათია	

სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და ტვირთის ნუსხა

საქონლის კლასიფიკაცია დსთ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით (კოდი TH ВЭД)	საქონლის მოკლე სახელწოდება
ჯგუფი 02	**ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები**
0201 0202 0203 0204	ძროხის ხორცი, ღორის ხორცი, ცხვრის ხორცი ან თხის ხორცი ახალი (გაუციებელი), გაციებული ან გაყინული
0205 00 000	ახალი (გაუციებელი), გაციებული ან გაყინული
0206	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხის, ცხენის, ვირის, ჯორის ან ჯორცხენის ხორცის საკვები სუბპროდუქტები ახალი (გაუციებელი), გაციებული ან გაყინული
0207	შინაური ფრინველის ხორცი და საკვები სუბპროდუქტები ახალი (გაუციებელი), გაციებული ან გაყინული
0208	იაკის, კამეჩის, საიგაკის, კენგურუს, აქლემის, ცხენირემის, ტახის, დათვის და სხვ. ხორცი
0209 00	ღორის ქონი, შინაური ფრინველის ცხიმი (გაციებული, გაუციებელი, მდნარი, არამდნარი, დამარილებული ან წათხში, გამმომშრალი ან შებოლილი)
0210	ხორცი და საკვები ხორცის სუბპროდუქტები დამარილებული ან წათხში, გამმომშრალი ან შებოლილი; ხორცისა და ხორცის სუბპროდუქტების საკვები ფხვნილი
ჯგუფი 03	**თევზი, კიბორჩხალისებრნი, მოლუსკები, წყლის სხვა უხერხემლოები**
0301, 0302, 0303, 0304	თევზი ცოცხალი, გაციებული და გაყინული, აქნილი და აუქნელი, თევზის ფილე, გაციებული და გაყინული
0305	თევზი (აქნილი და აუქნელი) გამომშრალი, დამარილებული, ცხლად და ცივად შებოლილი, ტევზის ფხვნილი და გრანულები, საკვები
0306	კიბორჩხალისებრნი (აქნილი და აუქნელი): ცოცხალი, გაციებული, გაყინული, მოხარშულ-გაყინული, დამარილებული, გამომშრალი, კიბორჩხალისებრთა ფხვნილი და გრანულები
0307	მოლუსკები (აქნილი და აუქნელი): ცოცხალი, გაციებული, გაყინული, მოხარშულ-გაყინული, დამარილებული, გამომშრალი სხვა წყლის უხერხემლოები (აქნილი და აუქნელი): ცოცხალი, გაციებული, გაყინული, მოხარშულ-გაყინული, დამარილებული, გამომშრალი

ჯგუფი 04	**რძე და რძის პროდუქტები, ფრინველის კვერცხი; თაფლი ნატურალური; ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტები**
0401	რძე და ნაღები შეუსქელებელი და შაქრის ან სხვა შემატკბილებელი ნივთიერების დაუმატებლად
0402	რძე და ნაღები შესქელებული და შაქრის ან სხვა შემატკბილებელი ნივთიერების დამატებით
0403	დო, აჭრილი რძე ან ნაღები, იოგურტი, კეფირი, სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები, შესქელებული ან შეუსქელებელი შაქრის ან სხვა შემატკბილებელი ნივთიერების დამატებით ან დაუმატებლად, არომატიზებული ან არაარომატიზებული, ხილის, თხილის ან კაკაოს დამატებით ან დაუმატებლად
0404	რძის შრატი, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრის ან სხვა შემატკბილებელი ნივთიერების დამატებით; პროდუქტები რძის ნატურალური კომპონენტებისგან, შაქრის ან სხვა შემატკბილებელი ნივთიერების დამატებით ან დაუმატებლად, სხვაგან არ დასახელებული
0405 00	კარაქი და რძის სხვა ცხიმები, რძის პასტები
0406	ყველი და ხაჭო
0407 00	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭიანი, ახალი, დაკონცერვირებული ან მოხარშული
0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭო და კვერცხის გული ახალი, გამომშრალი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვაგვარად დაკონსერვებული, შაქრის ან სხვა შემატკბილებელი ნივთიერების დამატებით ან დაუმატებლად
0409 00 000	თაფლი ნატურალური
0410 00 00	ცხოველური წარმოშობის საკვები პროდუქტები, სხვაგან არ დასახელებული
ჯგუფი 07	**ბოსტნეული და ზოგიერთი საჭმელი ძირხვენები და გორგლეული**
0701	კარტოფილი ახალი ან გაციებული
0702 00	პომიდორი ახალი ან გაციებული
0703	თავიანი ხახვი, ხახვი შალოტი (შარლოტი), პრასი, ნიორი და სხვა ბოლქვიანი ბოსტნეული, ახალი ან გაციებული
0704	თავხვეული კომბოსტო, ყვავილოვანი, კოლრაბი, ბროკოლი და სხვა ანალოგიური საჭმელი ბოსტნეული
0706	სტაფილო, თალგამი, სუფრის ჭარხალი, ფესვიანი ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საჭმელი ძირხვენები
0707 00	კიტრი და კორნიშონი
0708	პარკოსანი ბოსტნეული, გამომარცვლული ან გამოუმარცვლავი
0709	სხვა ბოსტნეული: ბადრიჯანი, წიწაკა, არტიშოკი, სატაცური და სხვ.
ჯგუფი 08	**საჭმელი ნაყოფი და კაკალი, ციტრუსების ან ბახჩეული კულტურების კანი და ქერქი**
0801	კაკალი ქოქოსის, ბრაზილიური და კეშიუ ნედლი ან გამომშრალი, ნაჭუჭგაცლილი და ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან უკანოდ
0802	სხვა კაკალი: ნუში, თხილი, კაკალი, წაბლი, ფისტა და სხვ.
0803 00	ბანანი
0804	ფინიკი, ლელვი, ანანასი, ავოკადო, მანგო ახალი ან გამომშრალი
0805	ციტრუსები ახალი ან გამომშრალი
0806	ყურძენი ახალი ან გამომშრალი
0807	ნესვი, საზამთრო და პაპაია ახალი

0808	ვაშლი, მსხალი და კომში ახალი
0809	გარგარი, ალუბალი, ბალი, ატამი (ნაქტარინების ჩათვლით)
0810	სხვა ნაყოფი ახალი: მარწყვი, ჟოლო, მაყვალი, ხურტკმელი, შტოში, მოცვი, წითელი მოცვი და სხვა კენკრა
0811	ნაყოფი და კაკალი (ახალი ან წყალში ან ორთქლზე მოხარშული), გაყინული, შაქრის ან სხვა შემატკბილებელი ნივთიერების დამატებით
0814 00 000	ციტრუსების ქერქი ან ბახჩეული კულტურების კანი (ახალი, გაყინული, გამომშრალი ან დაკონსერვებული მარილწყალში ხანმოკლე შენახვისათვის)
ჯგუფი 09	**ყავა, ჩაი და სუნელ-სანელებლები**
0901	ყავა მოხალული ან მოუხალავი, კოფეინით ან უკოფეინოდ, ნაყოფის რბილობი და ყავის მარცვლების გარსი, ყავის შემცველი ყავის შემცვლელები
0902	ჩაი არომატიზებული და არაარომატიზებული (მწვანე და შავი)
0904	გამხმარი წიწაკა, დაქუცმაცებული ან დაფქული
0905 00 000	ვანილი
0906	დარიჩინი და დარიჩინის ხის ყვავილი
0907 00 000	მიხაკი (მთელი ნაყოფი, ყვავილი)
0908	ჯავზი, მაცისი, ილი
0909	ანისულის თესლი, ბადიანი, დიდი კამა, ქინძი, კვლიავი, ღვიის ნაყოფი
0910	ჯანჯაფილი, ზაფრანა, ქურქუმა, ბეგქონდარა, დაფნის ფოთოლი და სხვ.
ჯგუფი 10	**პურეულის მარცვლეული (თესლის და საფურაჟე მარცვლეულის გარდა)**
1001	ხორბალი და ხორბალ-ჭვავის ნარევი
1002 00 000, 1003 00, 1004 00, 1005, 1006, 1007 00, 1008	ჭვავი, შვრია, ქერი, სიმინდი, ბრინჯი, წიწიბურა, ფეტვი და სხვა მარცვლეული
ჯგუფი 11	**ფქვილეულ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია, ალაო, სახამებელი, ხორბლის წებოვანა**
1101 00 1102	ხორბლის ან ხორბალ-შვრიის, ბრინჯის, სიმინდის ფქვილი, აგრეთვე სხვა მარცვლეულის ფქვილი
1103	მარცვლეულის ბურღული და გრანულები
1105	ფქვილი, ბურღული, კარტოფილის ფანტელი და გრანულები
1106	გამხმარი პარკოსანი ბოსტნეულის ფქვილი და ბურღული
1107, 1108	ალაო მოხალული ან მოუხალავი, სახამებელი
ჯგუფი 12	**ზეთოვანი თესლი და ნაყოფი: სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის**
1212 20 000	წყალმცენარეები გამხმარი და გაყინული, წყალმცენარეების ფქვილი და ბურღული
ჯგუფი 15	**ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები, მათი დახლეჩვის პროდუქტები**
1501 00 1502 00	მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვის, შინაური ფრინველის ცხიმი, ღორის ქონი მდნარი და არამდნარი
1504	თევზის ან ზღვის ძუძუმწოვრების ცხიმი, ქონი და მათი ფრაქციები
1507-1516	მცენარეული ზეთები და მათი ფრაქციები
1517	მარგარინი
1518 00	სხვა ცხიმები და ზეთები

ჯგუფი 16	**ხორცის, თევზის ან კიბორჩხალისებრთა, მოლუსკების ან სხვა წყლის უხერხემლოთა ნაწარმი**
1601 00	ხორცისგან, ხორცის სუბპროდუქტებისგან ან სისხლისგან დამზადებული ძეხვეული და ანალოგიური პროდუქტები; მათ საფუძველზე დამზადებული საკვები პროდუქტები
1602	ხორცისგან, ხორცის სუბპროდუქტებისგან ან სისხლისგან დამზადებული სხვა მზა ან დაკონსერვებული პროდუქტები
1604, 1605	თევზის, მოლუსკების, კიბორჩხალისებრთა, სხვა წყლის უხერხემლოთა და წყალმცენარეების პრესერვები
1604 1605	თევზის, მოლუსკების, კიბორჩხალისებრთა, სხვა წყლის უხერხემლოთა და წყალმცენარეების სხვა კულინარიული ნაწარმი
1604 1605	თევზისგან დამზადებული მზა ან დაკონსერვებული პროდუქტები: ზუთხისებრტა ხიზილალა (შავი ხიზილალა), ორაგულისებრთა ხიზილალა (წითელი ხიზილალა) და ხიზილალის შემცვლელები, ზღვის სხვა თევზებისგან დამზადებული, თევზი მთლიანი ან ნაჭრებად
1605 20	კრილის ხორციმოხარშულ-გაყინული, კრილის ფხვნილი
ჯგუფი 17	**შაქარი და შაქრისგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი**
1701	ლერწმის ან ჭარხლის შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა მკვრივ მდგომარეობაში
1702	შაქრის სხვა სახეობანი, მათ შორის ქიმიურად სუფთა ლაქტოზა, მალტოზა, გლუკოზა და ფრუქტოზა, მკვრივ მდგომარეობაში
1704	შაქრისგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი (მათ შორის თეთრი შოკოლადი), კაკაოს შემცველობის გარეშე
ჯგუფი 18	**კაკაო და მისგან დამზადებული პროდუქტები**
1801 00 00	კაკაოს მარცვალი, მთლიანი და დაქუცმაცებული, ნედლი ან მოხალული
1802 00 000	კაკაველა (ჩენჩო, გარსი, კანი) და კაკაოს სხვა ნარჩენები
1803	კაკაო პასტა ცხიმგაცლილი და ცხიმგაუცლელი
1804 00 000	კაკაოს ზეთი, ცხიმი და კაკაოს თხევადი ზეთი
1805 00 000	კაკაოს ფხვნილი შაქრის ან სხვა შემატკბილებელი ნივთიერების დამატების გარეშე
1806	შოკოლადი და კაკაოს შემცველი სხვასაკვები პროდუქტები
ჯგუფი 19	**პურეული მარცვლოვანების მარცვლისგან, ფქვილისგან, სახამებლისა და რძისგან დამზადებული ნაწარმი, ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმი**
1901	ალაოს ექსტრაქტი, ფქვილისგან, ბურღულისგან, სახამებლისგან ან ალაოს ექსტრაქტისგან დამზადებული საკვები პროდუქტები
1901 10 000	სპეციალიზებული ბავშვის საკვები პროდუქტები
1902	მაკარონის ნაწარმი, მოხარშული ან მოუხარშავი, სატენით ან უსატენოდ
1903 00 000	ტაპიოკი და მისი შემცვლელები
1904	პურის მარცვლეულის ან მარცვლეული პროდუქტების ამობურცვით ან მოხალვით მიღებული მზა პროდუქტები
1905	პური, ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმი, ნამცხვარი და სხვა პურფუნთუშეული და ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმი
ჯგუფი 20	**გადამუშავებული ბოსტნეულის, ნაყოფის, კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილებისგან დამზადებული პროდუქტი**
2001	ბოსტნეული, ხილი, კაკალი და მცენარის სხვა საჭმელი ნაწილები, დამზადებული და დაკონსერვებული ძმარში ან ძმრის მჟავაში
2002	პომიდორი, დამზადებული ან დაკონსერვებული ძმრის ან ძმრის მჟავის დამატების გარეშე

2003 2003 20 000	სოკო და თირკმელა სოკო, დამზადებული ან დაკონსერვებული ძმრის ან ძმრის მჟავის დამატების გარეშე
2004, 2005	სხვა ბოსტნეული, დამზადებული ან დაკონსერვებული ძმრის ან ძმრის მჟავის დამატების გარეშე, გაყინული კარტოფილი, სხვა ბოსტნეული ან ბოსტნეული ნარევები
2006	ნაყოფი, კაკალი, ნაყოფის კანი და მცენარეთა სხვა ნაწილები, შაქარში დაკონსერვებული (სიროფით გაჟღენთილი, მოჭიქული)
2007	ხილ-კენკრის ჯემი, ჟელე, მარმელადი, ხილ-კენკრის, კაკლის პიურე, სითბური წესით დამუშავებული, მათ შორის შაქრის, სხვა შემატკბილებელი ნივთიერების ან სპირტის დამატებით
2009	ხილის წვენები (მათ შორის ყურძნის ბადაგი) და ბოსტნეულის წვენები დაუდუღებელი და სპირტის გარეშე, შაქრის ან სხვა შემატკბილებელი ნივთიერების დამატებით ან დამატების გარეშე
ჯგუფი 21	**სხვა საკვები პროდუქტები**
2101	ყავის ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები, ყავის, ჩაის ან პარაგვაიული ჩაის ექსტრაქტების, ესენციების, კონცენტრატების საფუძველზე დამზადებული ნაწარმი, მოხალული ციკორი და სხვა მოხალული ყავის შემცვლელები
2102	საფუარი (აქტიური ან არააქტიური), სამრეწველო მიკროორგანიზმები და საფუარები
2103	სოუსების მოსამზადებელი პროდუქტები და მზა სოუსები, გემოვანი დანამატები, შერეული საკაზმი, საკვები დანამატები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები
2104	სუპები და ბულიონები, მათი დასამზადებელი მზა პროდუქტები,; საკვები პროდუქტების ჰომოგენური ნარევები
2105 00	ნაყინი და სხვა სახის საკვები ყინული
2106	საკვები პროდუქტები, სხვაგან არ დასახელებული
ჯგუფი 22	**ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი**
2201	მინერალური და გაზიანი წყლები
2202	წყლები, მათ შორის მინერალური გაზიანი შაქრის ან სხვა შემატკბილებელი ან არომატული ნივთიერების დამატებით, სხვა უალკოჰოლო სასმელე
2203 00	ალაოს ლუდი
2204	ყურძნის ღვინოები ნატურალური, მათ შორის შემაგრებული
2204 10. 2204 10 110	მჩქეფარე ღვინოები, შამპანური
2205	ვერმუტი და სხვა ყურძნის ნატურალური ღვინოები მცენარეული ან არომატული ექსტრაქტების დამატებით
2208	მაგარი სპირტიანი სასმელები, ლიქიორები და სხვა ალკოჰოლური სასმელები, სპირტის ნახევარფაბრიკატების შემადგენლები, რომლებიც სასმელების დასამზადებლად გამოიყენება
2209 00	ძმარი და მისი შემცვლელები, ძმარმჟავიდან მიღებული, ღვინის ძმარი
ჯგუფი 24	**თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები**
2401	თამბაქოსა და სასიგარე ნედლეული
2402	სიგარეტები (მათ შორის ბოლოებმოჭრილი სიგარები), სიგარილები (წვრილი სიგარები) და თამბაქოსა და მისი შემცელებისგან დამზადებული სიგარეტები
2403	საჩიბუხე და მოსაწევი თამბაქო

3302, 3506 10, 4813, 4823 20 000 9614	კომპონენტები სიგარეტებისა და სიგარების (სიგარილების) წარმოებისათვის: სიგარეტის ფილტრები; არომატიზატორები; წებო; სიგარეტის (პაპიროსის) ქაღალდი, თანამდევი საქონელი და სიგარეტის მოსაწევი ხელსაწყოები, ფილტრ-მუნდშტუკები
ჯგუფი 25	**მარილი**
2501 00 990	ადამისნის გამოსაყენებლად ვარგისი მარილი
ჯგუფები 28, 29	**მჟავები**
2809	ორთოფოსფორმჟავა
2915 50 000	პროპიონმჟავა
2916 19 300	სარბინმჟავა
2916 31 00	ბენზოინმჟავა
2917	ფიტინმჟავა
2917	ფუმარმჟავა
2917	ქარვამჟავა
2918 12 000	ღვინომჟავა
2918 14 000	ლიმონმჟავა
2918 19 000	ვაშლმჟავა
2951 21 00	ძმარმჟავა (სატყეოქიმიური) საჭმელი
2936 27 000	ასკორბინმჟავა
ჯგუფი 33	**ეთერზეთები და რეზინოიდები; პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებანი**
ჯგუფი 34	**საპონი, სარეცხი საშუალებანი, სინთეზური სარეცხი საშუალებანი**
ჯგუფი 35	**ცილოვანი ნივთიერებანი; მოდიფიცირებული სახამებლები**
3503 00	ჟელატინი
ჯგუფები 39, 69	**პოლიმერული, ფაიფურის და კერამიკული მასალებისგან დამზადებული ნაწარმი**
3920	კვების პროდუქტებთან კონტაქტისათვის გათვალისწინებული პოლიმერული მასალები
3924 6911	კვების პროდუქტებთან კონტაქტისათვის გათვალისწინებული პოლიმერული, ფაიფურისა და კერამიკული მასალისაგან დამზადებული ჭურჭელი
3920	ბავშვის ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სათამაშოების დამზადებისათვის გათვალისწინებული პოლიმერული მასალები
3917	წყალმომარაგებაში გამოსაყენებელი პოლიმერული მასალები
ჯგუფებიდან 39, 48, 70, 73, 76	**ტარა**
3923-დან	მრავალჯერადი პოლიმერული ყუთები ბოსტნეულისა და ხილისთვის
3923-დან	მრავალჯერადი პლასტმასის ყუთები პურფუნთუშეული ნაწარმისათვის
3923-დან	მრავალჯერადი პოლიმერული ყუთები ხორცისა და რძის მრეწველობის პროდუქციისათვის
4819-დან	გოფრირებული მუყაოს ყუთები ნაყინისათვის
4819-დან	გოფრირებული მუყაოს ყუთები საკონდიტრო ნაწარმისათვის
4819-დან	გოფრირებული მუყაოს ყუთები ხორცისა და რძის მრეწველობის პროდუქციისათვის
4819-დან	გოფრირებული მუყაოს ყუთები კვების პროდუქტებისთვის, ასანთისთვის, თამბაქოს ნაწარმისა და სარეცხი საშუალებებისთვის
7010-დან	მინის ტარა (ქილები, ბოთლები) სამრეწველო და სამეურნეო

	დანიშნულების კვების პროდუქტებისთვის
7310-დან	ლითონის ქილები კონსერვებისათვის
7612-დან	ლითონის მათარები რძისა და რძის პროდუქტებისთვის
ჯგუფი 48	**ქაღალდი**
4805	ავტომატებზე კვების პროდუქტების შესაფუთი ქაღალდი
ჯგუფი 48	**მუყაო**
4805 40 000	მფილტრავი მუყაო საკვები სითხეებისთვის
ჯგუფებიდან 73, 74, 75, 76	**შავი და ფერადი ლითონებისგან დამზადებული ჭურჭელი**
7323 94-დან	ფოლადის ემალირებული სამეურნეო ჭურჭელი
7323-დან	კოროზიამედეგი ფოლადის ჭურჭელი
7323 93 000	თუჯის ემალირებული სამეურნეო ჭურჭელი
7418-დან 7508	მელქიორის, თითბერის, ნეიზილბერის მოქრომილი ან ნიკელით დაფარული ჭურჭელი
7418-დან 7508	მელქიორის, ნეიზილბერის მოოქროვილი ან მოვერცხლილი ჭურჭელი
7615-დან	ფურცლოვანი ალუმინისგან დამზადებული სამეურნეო ჭურჭელი
ჯგუფი 84	**მოწყობილობა**
	საფასოებელ-საფუთავი ავტომატები კვების, ხორცისა და რძის და თევზის მრეწველობისათვის
	საფასოებელ-საფუთავი მოწყობილობა
8422-დან, 8423, 8434, 8437	შაქრისა და სახამებელ-საბადაგე მრეწველობისთვის;
8438	პურსაცხობი, მაკარონის და საკონდიტრო მრეწველობისთვის;
და სხვ.	მეღვინეობისთვის, სპირტისა და ლიქიორ-არყის მრეწველობისთვის;
	საკონსერვო და საკვებკონცენტრატების მრეწველობისთვის;
	ერბო-კარაქისა და ცხიმის მრეწველობისთვის;
	ჩაის, თამბაქოს, მარილისა და ფერმენტების მრეწველობისთვის;
	ლუდსახარში, უალკოჰოლო და დროჟის მრეწველობისთვის;
	ხორცისა და ფრინველგადამმუშავებელი მრეწველობისთვის;
	რძის მრეწველობისთვის;
	თევზეულის გადამუშავებისათვის;
	ტექნოლოგიური მოწყობილობა რძის მრეწველობისთვის.
8418-დან	კარადამაცივრები
8418-დან	კამერამაცივრები
8418 50-დან	დახლმაცივრები, დახლ-ვიტრინამაცივრები
8418 50-დან	ვიტრინამაცივრები
84	ორთქლით ან ელექტრონით გასაცხელებელი საჭმლის ქვაბები
8419-დან	ელექტრონით გასაცხელებელი სამზარეულო ქურები
8419-დან	საჭმლის და საწვავი სითბური აპარატები
8419-დან	ამოსატრიალებელი ტაფები, ელექტრონით გასაცხელებელი მაყლები და ფრიტერები
8516	უწყვეტი მოქმედების მადუღარები
8516	წყალგამაცხელებლები. თერმოსტატები
8419-დან	მარმიტები
8419-დან	ორთქლსახარში აპარატები
8419-დან	სითბური სადგამი, გამჭოლი, მოძრავი კარადები

8474 39 00	საზელ-სარევი მანქანები
8422	საჭმლის დასარიგებელი მოწყობილობა
8422	ბოსტნეულისა და ხილის საფასოებელი და საფუთავი მოწყობილობა
8422	სავაჭრო საწარმოებისათვის გათვალისწინებული საფასოებელ-საფუთავი მოწყობილობა
8474 39 000	ელექტრული ზეთსახდელები
8479 8509	ბოსტნეულის საჭრელები, საკეპები, სახეხები, საფხვნელი მანქანები და ხელსაწყოები:
8479	სადღვებები, მიქსერები, სანაყინეები
8479	კარტოფილსაფცქვნელები
8479	ბოსტნეულსაჭრელები
8479	პურსაჭრელები
8479	ძეხვსაჭრელები, ყველსაჭრელები
8479	ხილის, კიტრის, პომიდვრის საჭრელი მანქანები
8479	ცომისა და ბლანტი მასების საყალიბებელი ხელსაწყოები
8422	კონსერვის ქილებისა და ბოთლების გასახსნელ-დასახური ხელსაწყოები
8479	ხახვის, ნივრის, მწვანილის საჭრელი მანქანები
8479	ცომსაჭრელები
8479	კვერცხსაჭრელები
8479	ყავის საფქვავები
8479	ორცხობილის, კაკლის და ნივრის საქუცმაცებელი და საფხვნელი მანქანები
8479	პელმენების, ვარენიკების, ნამცხვრის, კრემიანი ნამცხვრის საყალიბებელი ხელსაწყოები
8479	კარტოფილისა და ბოსტნეულის სარეცხი და საფცქვნელი მანქანები
8422-დან	ჭურჭლის სარეცხი მანქანები
8479	დანის სალესი, სამზარეულოს ჭურჭლისა და ინვენტარის საწმენდი და საპრიალებელი ხელსაწყოები
8479	შინ საკონსერვებელი მოსახუფი მანქანები
8479	წნეხები, წვენსაწურები, წვენის მისაღები სხვა მოწყობილობანი
8479	სამზარეულოს ხელის საჭრელები და საწმენდები
8479	პროდუქტების შინ საკონსერვებელი, ასაქნელი და დასამუშავებელი ხელსაწყოები
8479	საკონდიტრო შპრიცები
8479	სათქვეფები, სარევები
8479	საკეპები ხელის

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების
თარგმნის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 8368-14/46
თარიღი/DATE 29.01.08
დაამოწმა/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia